ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5019624

ნომერი: AR1759393

თარიღი : 09.07.2020

გაცემის თარიღი : 10.07.2020

გაცნობის თარიღი : 10.07.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 80-82/2 , საბურთალოს ქუჩა N4, N6 , (ნაკვეთი N28/37);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ დათუნაშვილი პ/ნ 01026002517
- საქართველო, ქალაქი თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა, N 63, ბინა 12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №80-82/2, საბურთალოს ქუჩა №4, №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.13.028.037) მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ბრძანების მე-6 პუნქტით დამკვეთს დაევალა 2017 წლის 22 დეკემბრამდე წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ბინების რაოდენობის შესაბამისად პარკინგების მოწყობის უზრუნველყოფა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით, ალტერნატიულ ახლო მდებარე ადგილას, რომელიც, ასევე, შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან. ამავე ბრძანების მე-7 პუნქტის თანახმად, მე-6 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანება ითვლება ძალადაკარგულად. სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3710984 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „სააკაძე-2007-ის“ თავმჯდომარის, გივი სეთურიძის 2017 წლის 08 ნოემბრის №AR1555793 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილი იყო სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ბრძანების მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირობის - პარკინგების მოწყობის ვადის გაგრძელება 2019 წლის 22 სექტემბრამდე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2018 წლის 20 თებერვლის №50 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3710984 გადაწყვეტილება და სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2018 წლის 20 თებერვლის №50 ბრძანების აღსრულების ფარგლებში, სამსახურის 21.05.2018 წლის №3972831 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანებაში და ბრძანების მე-6 პუნქტით დამკვეთს დაევალა 2019 წლის 22 სექტემბრამდე, მაგრამ, არაუგვიანეს შენობა-ნაგებობის ექპლუატაციაში მიღებამდე, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ბინების რაოდენობის შესაბამისად უზრუნველყოს საზოგადოებრივი პარკინგების (რომელიც ასევე საჭიროა შეთანხმებული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან) მოწყობა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა.
ასევე, ბრძანებას 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 დაემატა მე-61 პუნქტი, რომლითაც დამკვეთს დაევალა დამკვეთს 6 (ექვსი) თვის ვადაში წარმოედგინა მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება.
2017 წლის 30 ნოემბრის №3710984 და 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანებების შესაბამისად, 6 (ექვსი) თვის ვადაში აღნიშნული ხელშეკრულების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ჩაითვლებოდა ძალადაკარგულად.
ვინაიდან, დადგენილ ვადაში დამკვეთის მიერ არ მომხდარა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა სამსახურისთვის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანება ჩაითვალა ძალადაკარგულად.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სარეკლამო ბრის მოწყობასტან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge